საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალვათა

კალვათა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის საირხის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 500 მ, საჩხერიდან 2 კმ. 353 მცხ. (2014). 1938 სოფლის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ძვ. წ. X–VIII სს. განძი – 6 ბრინჯაოს თოხი, 2 კოლხური ცული და ბრინჯაოს ზოდები. განეკუთვნება კოლხურ კულტურას. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.